სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080167781931923

№ 2762

10 / ოქტომბერი /
2023 წ.

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 14 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) 2023 წლის 14 სექტემბრის 14/09-1 მომართვა (რეგისტრაციის № 7541), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2023 წლის 4 და 9 ოქტომბერს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2023 წლის 3 და 9 ოქტომბრის № 03/10-3 და № 09/10-2 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 8104 და № 8313), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის № 3019 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2023 წლის 13 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინს“ (ს/ნ: 231165529) 2023 წლის 14 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე